UDC 325
SCOPUS CODE 3317
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-2-429-436

მდგრადობის კრიტერიუმები უკუმიგრაციის პროცესების ხელშეწყობისათვის
(საზღვრისპირა მთისწინეთის ნასოფლარების მაგალითზე)

ნანა ახალაია

საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: n.akhalaia@gtu.ge

რეცენზენტები:

მ. შერაზადიშვილი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი

E-mail: Marika51marika@gamil.com

ნ. ჩიკვილაძე, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

E-mail: n.chikviladze@gtu.ge

ანოტაცია. სამეცნიერო სტატიის აქტუალურობას წარმოადგენს საზღვრისპირა მთისწინეთის ნასოფლარებში შესაძლო უკუმიგრაციის პროცესების ხელშეწყობისათვის საჭირო მდგრადობის კრიტერიუმების დადგენა, სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და გარემოსდაცვითი ფაქტორების განსაზღვრა, მიგრაციის ტენდენციების, მათ შორის დემოგრაფიული მახასიათებლების გაანალიზება, პოლიტიკის ჩარჩოების, ინსტიტუციური მოწყობისა და მმართველობის მექანიზმების როლის შესწავლა უკუმიგრაციის დინამიკისა და შედეგების ფორმირებისათვის.

ნაშრომის აქტუალურობიდან გამომდინარე, თემის მიზანია საზღვრისპირა მთისწინეთის ნასოფლარების ყობისა და მურყნისწყაროს გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური კეთილდღეობის ჰოლისტიკური და დაბალანსებული განვითარება.

კვლევის ობიექტია, შიდა ქართლის ხაშურის მუნიციპალიტეტის საზღვრისპირა მთისწინეთის ნასოფლარები ყობი და მურყნისწყარო.

საკვანძო სიტყვები: მიგრაცია; მდგრადობის კრიტერიუმები; ნასოფლარები; უკუმიგრაცია; საზღვრიპირა სოფლები.

შესავალი

მიგრაციის შესახებ მეცნიერული აზრი უძველეს დროში ჩაისახა. ცნობილია, რომ კონფუციმ და მისმა მიმდევრებმა ჩამოაყალიბეს „მოსახლეობის ოპტიმალური რიცხოვნობის“ კონცეფცია. ცდილობდნენ, დაედგინათ მიწის ნაკვეთებსა და ადამიანთა რიცხოვნობას შორის ოპტიმალური რაოდენობრივი თანაფარდობა, რაზეც პასუხისმგებლობას აკისრებდნენ სახელმწიფოს. თვლიდნენ, რომ თუ აღნიშნული თანაფარდობა დაირღვეოდა, სახელმწიფოს უნდა გადაესახლებინა მოსახლეობის ნაწილი იქ, სადაც შედარებით უფრო ჭარბად იყო მიწები.

განსაკუთრებით საინტერესოა პლატონისა და არისტოტელეს ნაშრომები. ისინი ცდილობდნენ, განესაზღვრათ მოსახლეობის ზრდაში მიგრაციის როლი. მიჩნეული იყო, რომ მოსახლეობის ზედმეტი ზრდა, სიჭარბე, ცხოვრების დონეს აქვეითებს, რასაც თან სდევს სხვადასხვა სახის უწესრიგობა. იმავე დროს ა. სმიტი ამტკიცებდა, რომ აუცილებელია კაპიტალის, საქონლისა და სამუშაო ძალის შეუზღუდავი გადაადგილება, რათა საბაზრო ძალებმა მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ეკონომიკურ განვითარებას და სიღარიბის შემცირებას. ე. რავენშტაინის თეზისი, რომ „მიგრაცია სიცოცხლესა და პროგრესს ნიშნავს, ხოლო მოსახლეობის მცირე მობილობა – სტაგნაციას“, ამჟამადაც აქტუალურია. ამ პოზიციიდან განიხილავს თანამედროვე მეცნიერება მოსახლეობის განვითარების მრავალ საჭირბოროტო საკითხს.

მიგრაციას, როგორც უძველეს საზოგადოებრივ-გეოგრაფიულ მოვლენას სპეციფიკური მახასიათებლები აქვს. ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ მიგრაციის სფეროში არ არსებობს ერთი უნივერსალური თეორია, რომელიც მეცნიერების მიერ ერთხმად არის აღიარებული. მიგრაციის კვლევა ინტერდისციპლინური ხასიათისაა და მოიცავს სხვადასხვა დისციპლინის მიდგომებს, როგორიცაა სოციოლოგია, ეკონომიკა, დემოგრაფია, პოლიტიკური მეცნიერება, გეოგრაფია და ანთროპოლოგია. თითოეული მათგანი მიგრაციას განსხვავებული კუთხით განიხილავს და ამდიდრებს მის შესწავლას მრავალფეროვანი თეორიული ჩარჩოებით. ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიის თანახმად მიგრაცია განიხილება როგორც ინდივიდუალური ეკონომიკური გადაწყვეტილება, რომელიც ეფუძნება მაღალშემოსავლიან რეგიონებში უკეთესი შესაძლებლობების ძიებას. საერთაშორისო შრომითი მიგრაციის თეორია ყურადღებას ამახვილებს შრომის გლობალური დანაწილებისა და შრომის საერთაშორისო მოძრაობის ფაქტორებზე. ისტორიული სტრუქტურალიზმი მიგრაციას განიხილავს, როგორც ისტორიული პროცესების შედეგს, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კოლონიალიზმსა და გლობალურ უთანასწორობას. გლობალიზაციის თეორია მიგრაციას განიხილავს როგორც გლობალიზაციის შედეგს, სადაც ადამიანების გადაადგილება დაკავშირებულია ინფორმაციის, კაპიტალისა და კულტურის გლობალურ მიმოცვლასთან. ქსელური თეორია აქცენტს აკეთებს სოციალურ კავშირებსა და მიგრანტთა ქსელებზე, რომლებიც ხელს უწყობენ გადაადგილებასა და ახალ გარემოში ადაპტაციას, ხოლო კულტურათაშორისი ინტეგრაციის თეორია მიგრაციის შემდგომი პროცესების, მაგალითად, კულტურული ადაპტაციისა და ინტეგრაციის შესწავლაზეა ფოკუსირებული. ამ

მიზეზით, მიგრაციის შესწავლა მოითხოვს მრავალმხრივ და ინტერდისციპლინურ მიდგომას, რათა სრულყოფილად იქნეს გააზრებული მისი კომპლექსური ბუნება.

ძირითადი ნაწილი

მიგრაცია და მდგრადი განვითარება

აღიარებულია, რომ მიგრაცია მჭიდრო კავშირშია მდგრად განვითარებასთან, რადგან ის მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მიგრანტების წარმოშობისა და დანიშნულების ადგილების ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას. საერთაშორისო ჩარჩოები, როგორიცაა გაეროს 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის და მიგრაციის გლობალური შეთანხმება, მიზნად ისახავს ადამიანების წასვლის მიზეზების შემცირებას, სიტუაციის გაუმჯობესებას. მთიან რაიონებში მცხოვრები ხალხი დიდი ხანია იყენებს მიგრაციას, როგორც სტრატეგიას ბუნებრივი რესურსების ოპტიმალური გამოყენებისათვის, სურსათის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მათი სოციალური და ეკონომიკური ქსელების გასაძლიერებლად და პირადი მისწრაფებების შესასრულებლად. საქართველოში, როგორც მთაგორიან ქვეყანაში, საუკუნეების განმავლობაში ხდებოდა მთიანი რეგიონებიდან ბარში ნებაყოფლობითი თუ ძალდატანებითი მიგრაცია. მიგრაციამ სოფლის მთიანი რაიონებიდან ბარში მიაღწია ისეთ მასშტაბებს, რომ დღეისათვის ფართოდ არის გავრცელებული მოსახლეობის დეპოპულაცია. ამას შეიძლება ჰქონდეს შორსმიმავალი უარყოფითი შედეგები. მიგრაციის უარყოფითი შედეგების აღმოსაფხვრელად, მთავარია იმის გაგება, თუ რა მიზეზით ტოვებენ ადამიანები მთიან საცხოვრებელ ტერიტორიებს, როგორია მათი ქმედებების სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური შედეგები და შესაძლებელია თუ არა მთის სოფლებში უკუმიგრაციამ იმოქმედოს, როგორც დეპოპულაციისა და ეკონომიკური რეცესიის საწინააღმდეგო პროცესმა, რომლის გაგებაც მიიღწევა აკადემიური კვლევებით და ხელს შეუწყობს არსებული პრობლემების შესწავლას, ცოდნის გენერირების გზით, ინფორმაციის წარმოდგენას მდგრადი განვითარების, გლობალური მიზნებისა და ადგილობრივი სამოქმედო ამოცანების ჭრილში.

საქართველოს მთიანეთის მოსახლეობის მუდმივი მიგრაცია წითელ ზოლად გასდევს საქართველოს ისტორიას, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს მთისწინეთსა და ბარში. საქართველოს მოსახლეობა, როგორც მშვიდობიან, ისე არამშვიდობიან პერიოდში თითქმის მუდმივად გადასახლდებოდა ერთი ადგილიდან მეორეზე სხვადასხვა მიზეზით. საქართველოს გადარჩენის საქმეში მოსახლეობის შიდა მიგრაციულ პროცესებს განსაკუთრებული წვლილი აქვს შეტანილი.

მთიანი რეგიონებიდან მიგრაცია XX საუკუნის 60-იან წლებში საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის შედეგად დაიწყო. 90-იან წლებში შიგა მიგრაცია მნიშვნელოვნად განაპირობა ომმა და სოციალურ-ეკონომიკურმა ფაქტორებმა, ასევე სტიქიურმა მოვლენებმა – მიწისძვრამ და მეწყერმა. ადამიანი უკეთესი პერსპექტივის ძიებაში სხვაგან გადადიოდა საცხოვრებლად. დაცარიელდა დასახლებები, რითაც გამანადგურებელი ზიანი მიადგა მთის სოფლებს.

საქართველოს გადარჩენის საქმეში მოსახლეობის შიგა მიგრაციულ პროცესებს განსაკუთრებული

წვლილი აქვს შეტანილი. მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე ქართულ-ოსურმა ურთიერთობებმა, XX საუკუნის 90-იანი წლებიდან კონფლიქტის სახე მიიღო. 2008 წლის ომის შემდგომ გაჩნდა ეგრეთ წოდებული „ხელოვნური საზღვარი“ და სოფლები სახელწოდებით – ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე – ეგრეთ წოდებული „სასაზღვრო სოფლები“. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის ინფორმაციის მიხედვით, რთულია ზუსტი შეფასების გაკეთება იმის თაობაზე, თუ მაღალმთიანი რეგიონებიდან გადინებული მოსახლეობიდან რამდენი ადამიანია გადასული ქვეყნის სხვა რაიონებში საცხოვრებლად ან რამდენია ემიგრაციაში წასული. სამწუხაროა, რომ დღემდე არ არსებობს გრძელვადიანი ხანგრძლივმოქმედი პროექტები ან პროგრამები იმ ტერიტორიის მოსახლეობისათვის, რომლებიც შეაჩერებს მოსახლეობის გადინების პროცესს და ხელს შეუწყობს ადგილზე მათ მდგრად დამკვიდრებას.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სტატისტიკის ისტორია გვამცნობს, რომ 1715 წელს, რუისის სამწყსოს დავთარში აღწერილია დღევანდელი ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე 38 სოფელი. აღნიშნულ 38 სოფელში 795 ოჯახია დაფიქსირებული. 1728 წელს, ოსმალების მიერ შედგენილი „თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით ხაშურის რაიონის ტერიტორიაზე არსებულ სოფლებში 1299 ოჯახია დაფიქსირებული, მოსახლეობის რაოდენობა კი არის 6495. XVIII საუკუნის 40-იან წლებში ხაშურის რაიონის ტერიტორიაზე არსებობს 58 დასახლებული სოფელი. 1804 წლის კამერალური აღწერის მიხედვით ხაშურის რაიონის ტერიტორიაზე 58-დან დარჩენილია მხოლოდ 11 სოფელი, სადაც საბატონო და საეზინო გლეხების მხოლოდ 390 კომლი ცხოვრობს 3651 მოსახლით. 1922 წელს ხაშურის რაიონის ტერიტორიაზე, რომელიც თბილისის გუბერნიის გორის მაზრის შემადგენლობაში შედიოდა, ორი ქალაქი – ხაშური, სურამი და 89 სოფელია, საერთო მოსახლეობით 33886. ხაშურის მუნიციპალიტეტის საზღვრისპირა სოფლებს ყობს და მურყნისწყაროს, რომელიც საოკუპაციო ხაზთან მდებარეობს, დღემდე ეტყობა უახლეს ისტორიაში მომხდარი ომის კვალი, სადაც ეთნიკური ოსები ცხოვრობდნენ. 90-იან წლებში ეთნიკურ ნიადაგზე დაწყებული დაპირისპირებების შედეგად ყობში ყველა სახლი გადაწვეს. საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ 30 ოჯახიდან რამდენიმემ შეძლო უკან დაბრუნება, თუმცა შექმნილ მძიმე მდგომარეობას ვერ გაუძლეს და სოფელი დატოვეს. მურყნისწაროში ოჯახი არ ცხოვრობს, ხოლო ყობში ერთი შინამეურნეობა და ორი მოსახლე დარჩა, მძიმე პირობების მიუხედავად ისინი სოფელს არ ტოვებენ და ცხოვრებას აგრძელებენ. სოფელი ყობი წაღვლის თემში შედის, მიუხედავად იმისა, რომ სოფელი მაღალმთიანი სოფლის სტატუსით და შეღავათებით სარგებლობს, მიგრაციას ეს მაინც ვერ აჩერებს, რაც დემოგრაფიულ მდგომარეობაზეც აისახება. წაღვლის ამბულატორიის მონაცემებით 2018 წელს მთელ თემში მხოლოდ 12 ბავშვი დაიბადა. 2019 წელს კი საერთოდ არ დაბადებულა. სწორედ თემის რვა სოფელში შედის მურყნისწყარო და ყობი. წაღვლის თემში შემავალი რვა სოფელი დაკეტილი სახლების სიუხვით არის წარმოდგენილი, რაც ხაზს

უსვამს მიგრაციის მაღალ მაჩვენებელს. ავარიული გზები, წყლის პრობლემა, უმუშევრობა, რომელიც განაპირობებს მაღალ მიგრაციას თან საოკუპაციო ხაზის განსაკუთრებით სიახლოვეც ემატება. ტრადიციულად აღნიშნულ სოფლებში მისდევენ მეხილეობას, მებოსტნეობას, მევენახეობას, მეცხოველეობას, მემინდვრეობას. ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურებია ხორბალი, სიმინდი, ლობიო, ქერი, შვრია, ვაზი. გავრცელებულია ტყის ყომრალი, ყავისფერი, ნეშომპალა-კარბონატული, შავმიწია ნიადაგები. საზღვრისპირა სოფლების განაპირას, საოკუპაციო ხაზთან მდებარეობს მარმარილოსა და ე.წ. „ტალკის“ (პუდრის) საბადოები, რომლებზეც ყველანაირი მუშაობა შეწყვეტილია. თუ საბადოებზე სამუშაოების განახლება მოხდება, ეს ხელს შეუწყობს სოფლის მოსახლეობის დასაქმებას და მიგრაციის პროცესიც მნიშვნელოვნად შემცირდება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე შიდა ქართლის ხაშურის მუნიციპალიტეტის საზღვრისპირა მთისწინეთის ყობისა და მურყნისწყაროს ნასოფლარებში, შესაძლო უკუმიგრაციის პირობების შესწავლა არა თუ მნიშვნელოვანი, არამედ აუცილებელიცაა. უკუმიგრაცია მთიან რეგიონებში გულისხმობს ადამიანების დაბრუნებას მშობლიურ, წინაპრების ნასახლარებზე.

საზღვრისპირა სოფლებში უკუმიგრაციისათვის მდგრადობის კრიტერიუმები მოიცავს სხვადასხვა ფაქტორის შეფასებას მათი გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის დასადგენად, რომელთაც შეუძლია გავლენა მოახდინოს დაბრუნების გადაწყვეტილებაზე და ეს კრიტერიუმები შეიძლება განსხვავდებოდეს ინდივიდუალური პრეფერენციების, სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებისა და მთიანი დასახლებების სპეციფიკური მახასიათებლების მიხედვით.

ნასახლარების მდგრადობისა და უკუმიგრაციის კრიტერიუმების დადგენა შესაძლებელს გახდის უკუმიგრანტებისათვის მდგრადი განვითარების ისეთი ინიციატივების შეთავაზებას, როგორიცაა ეკოტურიზმი, ორგანული მეურნეობა, განახლებადი ენერგიის პროექტები, მეწარმეობების სტიმულირება და მრავალი სხვა, რომელთაც შეუძლიათ გაზარდონ ოჯახის შემოსავალი, შეამცირონ სიღარიბე, გააუმჯობესონ საერთო ეკონომიკური მდგრადობა საზღვრისპირა მთის სოფლებში, ხელი შეუწყონ კეთილდღეობას უნიკალური კულტურული და გარემოსდაცვითი მემკვიდრეობის დაცვაში, ხოლო პოლიტიკის შემქმნელებისთვის, განვითარების პრაქტიკოსებისთვის, მკვლევრებისათვის და საზოგადოების დაინტერესებული მხარეებისთვის, რომლებიც ეძებენ ინოვაციურ გადაწყვეტილებებს მთიანი რეგიონების წინაშე მდგარი რთული გამოწვევების დასაძლევად იქნება საუკეთესო სიახლის შეთავაზება, რომელიც მდგომარეობს მის მორგებულ მიდგომაში საზღვრისპირა მთისწინეთის ნასოფლარების ყობისა და მურყნისწყაროს წინაშე მდგარი გამოწვევების გადასაჭრელად. ყობსა და მურყნიწყაროს ახასიათებთ გეოგრაფიული იზოლაცია, უხეში რელიეფი და რესურსებზე შეზღუდული წვდომა. აღნიშნული მთისწინა სოფლების მკაფიო საჭიროებებისა და მოწყვლადობის აღიარებით, უკუმიგრაციისა და გაუკაცრიელებული ნასახლარების მდგრადობის კრიტერიუმების შესაბამისობის დადგენით შეიქმნება ინოვაციური გადაწყვეტილებების შესაძლებლობები, ნასოფლარ გარე-

მოში მდგრადი განვითარების ხელშეწყობისა და გაძლიერებისათვის უკუმიგრაციის მიზნის მისაღწევად.

მდგრადობის კრიტერიუმები უკუმიგრაციის პროცესების ხელშეწყობისათვის

შიდა ქართლის ხაშურის მუნიციპალიტეტის საზღვრისპირა მთისწინეთის ყობისა და მურყნისწყაროს ნასოფლარებში შესაძლო უკუმიგრაციის პროცესების ხელშეწყობისათვის საჭიროა მდგრადობის კრიტერიუმების დადგენა, სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და გარემოსდაცვითი ფაქტორების განსაზღვრა, მიგრაციის ტენდენციების, მათ შორის დემოგრაფიული მახასიათებლების გაანალიზება, პოლიტიკის ჩარჩოების, ინსტიტუციური მოწყობისა და მმართველობის მექანიზმების როლის შესწავლა უკუმიგრაციის დინამიკისა და შედეგების ფორმირება. საზღვრისპირა ნასოფლარების გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური კეთილდღეობის ჰოლისტიკური და დაბალანსებული განვითარებისათვის აუცილებელია სოფლის შემდგომი მდგრადი განვითარების, სოციალური ხელშეწყობის მიზნით, უკუმიგრაციის პროცესების ეფექტური მართვის გზების ძიება.

საზღვრისპირა მთისწინეთის ნასოფლარების ყობისა და მურყნისწყაროს წინაშე მდგარი გამოწვევების გადასაჭრელად, შესაძლო უკუმიგრაციის შესწავლისათვის გამოყენებული უნდა იყოს ინტერდისციპლინური მიდგომით მდგრადობის კრიტერიუმების დადგენა, რომელიც გულისხმობს:

1. სოციალურ-ეკონომიკური და გარემოსდაცვითი ფაქტორების განსაზღვრას, რომლებიც გავლენას ახდენენ საზღვრისპირა ნასოფლარების მოსახლეობაში დაბრუნების გადაწყვეტილებაზე

2. მიგრაციის ტენდენციების, მათ შორის დემოგრაფიული მახასიათებლების გაანალიზებას საზღვრისპირა სოფლებში

3. შესაძლებლობებისა და გამოწვევების შესწავლას სოფლის შემდგომი მდგრადი განვითარების, სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობის მიზნით, უკუმიგრაციის პროცესების ეფექტური მართვის გზით.

დასკვნა

საზღვრისპირა მთისწინეთის ნასოფლარების ყობისა და მურყნისწყაროს გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური კეთილდღეობის ჰოლისტიკური და დაბალანსებული განვითარებისათვის საჭიროა:

- შიდა ქართლის ხაშურის მუნიციპალიტეტის საზღვრისპირა მთისწინეთის ყობისა და მურყნისწყაროს ნასოფლარების ტერიტორიების დიგიტალიზაცია.
- რესურსების გამოყენების შეფასება – უნდა შეფასდეს ისეთი რესურსების გამოყენების შესაძლებლობა, როგორიცაა წყალი, ენერგია, ტყე და ნედლეული.
- ძირითადი სერვისების შეფასება – უნდა შეფასდეს აუცილებელი სერვისები, როგორიცაა წყალმომარაგება, სანიტარია და ელექტროენერგია უკუმიგრაციის შემთხვევაში მოსახლეობის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

ISSN 1512-0996
www.shromebi.gtu.ge

○ საგზაო ინფრასტრუქტურის შეფასება – ხელმისაწვდომობის ხელშეწყობისა და გარემოზე ზემოქმედების მინიმიზაციის მიზნით.

○ მთიან დასახლებაში არსებული ისტორიული და კულტურული აქტივების იდენტიფიცირება – ადგილობრივი მემკვიდრეობის შენარჩუნება-დაცვისათვის.

○ მონაცემების შეფასება გარემოს მდგრადობის კრიტერიუმებთან შესაბამისობაში საარსებო-სასიცოცხლო პირობებთან.

○ გარემოს მდგრადი განვითარების სამიზნე ინდიკატორების დადგენა.

ყოველივე ზემოთქმული კი შესაძლებელია შიდა ქართლის ხაშური მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობით, რესურსების ეფექტური კოორდინაციის, ადმინისტრაციულ მხარდაჭერაზე ხელმისაწვდომობისა და ადგილობრივი განვითარების პრიორიტეტებთან შესაბამისობის გამოყენების გზით.

დასასრულ, უკუმიგრაციის გარემოსდაცვითი მოსაზრებების ინტეგრირება უზრუნველყოფს მომავალი თაობებისთვის ბუნებრივი რესურსების, ეკოსისტემის სერვისებისა და კულტურული ლანდშაფტების შენარჩუნებას. ინტერდისციპლინურობა აუცილებელია მთისწინეთის სოფლებში უკუმიგრაციის წარმატებით განხორციელებისათვის, რადგან ის იძლევა მიგრაციისა და განვითარების რთული სოციალური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და კულტურული განზომილებების ყოვლისმომცველი გაგების საშუალებას.

ლიტერატურა

1. Migration profile of the state of Georgia (2021). Governmental Commission for Migration Affairs in Tbilisi.
2. Gogsadze, C. (2018). Geography of the population. M-2 edition. Tbilisi: Ivane Javakhishvili Tbilisi: State University Publishing House.
3. Shelia, M. (2019). Population Economics. Tbilisi: Ivane Javakhishvili Tbilisi State University Publishing House.
4. UN Sustainable Development Cooperation Agreement 2021-2025. (2020) Tbilisi.
5. Migration and Sustainable Mountain Development. (2019). Centre for Development and Environment (CDE), University of Bern, with Bern Open Publishing (BOP)
6. Castles, S., de Haas, H., & Miller, M. J. (2014). The Age of Migration: International Population Movements in the Modern World. Palgrave Macmillan.
7. Massey, D. S., Arango, J., Hugo, G., Kouaouci, A., Pellegrino, A., & Taylor, J. E. (1993). Theories of International Migration: A Review and Appraisal. Population and Development Review, N19(3), pp.431–466.
8. Portes, A., & Böröcz, J. (1989). Contemporary Immigration: Theoretical Perspectives on Its Determinants and Modes of Incorporation. International Migration Review, N23(3), pp.606–630.
9. Brettell, C. B., & Hollifield, J. F. (Eds.). (2014). Migration Theory: Talking across Disciplines. Routledge.
10. Faist, T. (2000). The Volume and Dynamics of International Migration and Transnational Social Spaces
11. Giddens, A. (1991). The Consequences of Modernity. Polity Press.
12. Bakewell, O. (2010). Some Reflections on Structure and Agency in Migration Theory. Journal of Ethnic and Migration Studies, N36(10), 1689–1708.

UDC 325
SCOPUS CODE 3317
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-2-429-436

Sustainability Criteria for Facilitating Return Migration Processes

(On the Example of Border Foothill Settlements)

Nana Akhalaia Department of public administration and electronic business, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: n.akhalaia@gtu.ge

Reviewers:

M. Sherazadishvili, Professor, Faculty of Social Sciences, Business and Law, Gori State University
E-mail: Marika51marika@gamil.com

N. Chikviladze, Associate Professor, Faculty of Business Technologies, gtu
E-mail: n.chikviladze@gtu.ge

Abstract. The relevance of the scientific article is determined by establishing the necessary sustainability criteria to facilitate possible reverse migration processes in the border foothill settlements of Obi and Murkanitskaro of the Khashuri municipality of Shida Kartli, identifying socio-economic, political and environmental factors. Analysis of migration trends, including demographic characteristics, study of the role of policy frameworks, institutional arrangements and governance mechanisms in shaping the dynamics and outcomes of reverse migration.

Considering the relevance of the work, the goal of the topic is the holistic and balanced development of the environmental, social and economic well-being of the border foothill settlements of Obi and Murkanitskaro.

The object of the research is the foothills of the border of the Khashuri municipality of Shida Kartli, the sources of the Kobi and Murkani rivers.

The scientific article includes an introduction, sub-chapters, references, conclusion and recommendations

Keywords: Migration; Sustainability Criteria; Settlements; Return Migration; Border Villages.

განხილვის თარიღი 12.11.2024
შემოსვლის თარიღი 28.01.2025
ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.06.2025